

ო, ენაჲ ჩემო, დედაო ენაჲ!

ძებლი აბიბათ ხელთუქმნელი, უნეტარესი



საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, ხალხმა მშობლიურ ენას ძეგლი რომ დაუდგა. „შენ, რომელიც ასე მზეებზე გვინათ, განდი თვალის ჩინად, ოცდაექვსი საუკუნის წინათ“... და მაინც მისი უღიადესი ძეგლი „ვეფხისტყაოსანია“, და მაინც მისი უკვდავმოფევი იაკობ გოგებაშვილია, რომელმაც ტკბილმშობლიურ ენას „ბურჯი ეროვნებისა“ და დედა უწოდა.

თუმცა, მავანთა მცდელობით მას დღეს უმძიმესი უამი უდგას. ლახვარი მაშინ ჩასცეს, როცა სკოლიდან აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელმძღვანელო „ქართული ენა“ გააძევეს.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... მას გუშაგად „ოცდაცამეტი ჭაბუკი მზესხივო-

სანი“ და პატრიოტი პედაგოგები უდგანან.


ბოლო ხანებში განათლების და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს ვითარების სასიკეთოდ შემობრუნებას, თუმცა „საყვარელი ქალის ეში მოვა, მაგრამ როდის?..“ იმდენი ფოტომასალა მივიღე სკოლიდან, ვიფიქრე სათაური ასე შემეცვალა: ფოტოებში ამღერებული „დედა ენა“, ბოლოს მაინც ძველი დაგტოვე.

რედაქტორი

14 აპრილი
კერძო სკოლა
„ცოდნაში“
იყო ზეივი
იაკობისა

კერძო სკოლა „ცოდნაში“ დირსშესანიშნავ თარიღებს არასდროს ტოვებენ ჟურნალისტების მიღმა. დიდი ხალისით, ჟრიალულით ერთგებიან სამივე საფეხურის მოსწავლეები სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში.

„ცოდნას“ გამორჩეული პედაგოგები ჰყავს, რომლებიც დღე-ნიადაგ ზრუნავენ თავიანთი



ალაზრდელების წინსვლასა და განვითარებაზე.

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარესსკოლო აქტივობებს, გასვლით სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებებს, რაც მოსწავლეთა მოტივაციის ამღვებებს უწყობს ხელს და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

14 აპრილს საქართველომ დედაენის დღე აღნიშნა.

კერძო სკოლა „ცოდნას“ მოსწავლეები ამ დღეს განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით ეფერებიან მშობლიურ, სიტყვაქარგულ ქართულ ენას...

„ცოდნა“ ტრადიციულად წელსაც შეუერთდა ამ დღესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, განსაკუთრებით კი პატარა „ცოდნელები“ აქტიურობდნენ.

I-II კლასელებმა (ხელმძღვანელები მედეია



ბიორბი ლაონიძე „დედა-ენა“

ჩვენი ნიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვარდნაბამი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი, ჩვენს აკვანს შემომფდარი მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიაგში ჩვენს ყურთან რომ გაისმა, ყრმობა რომ გვისურნელა, როგორც ბალი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა ჩვენ ბავშვობა ბეჩავი - შავი კაბით გაზრდილებს, გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი ნიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული.

ბოლქვაძე, ნინი წერეთლი, ეკათერინე თიკო ბლიაძე) „დედა ენის“ ძეგლი მონახულეს, შეამკეს ყვავილებით, შექმნეს პოსტერები და ვიდეორგოლები, წაიკითხეს ლექსები დედაენაზე.

დედა ენის, ჩვენი კულტურის, მწერლობის დაცვა და მოფრთხილება ზოგადი განათლების უმთავრესი მიზანია – „ენა დედაა ერისა“.

ამ სულისკვეთებით იზრდებიან „ცოდნელები“.

მოსწავლეებო, გრიშაშვილის ოდნავშეცვლილი სტრიქონებით მოგიწოდებთ: „ინგლისური კარგად იცით, გაქვთ ნიჭი და ადლო, მაგრამ ქართულ ენაში კი მოიკოჭლებ, ბალო, ყველაფერზე პირველად და ყველაფერზე უფრო დედაენას, დედაენას უნდა დაუფლოთ!“

ბორის მიშველაძე, პედაგოგი



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ნიჭის აყვავებისა და ცოდნის ბაღრმაშების ასპარეზი



„აქედან ვხედავ ნაკადების მე დაბადებას“, – წერდა პუშკინი ლექსში „თერგი“. დიახ, ასეა აქაც. ნიჭი საჯარო სკოლაში გამოიკვირდება.

გაკვეთილების შემდეგ აღსაზრდელი მოსწავლეთა სახლში მოდის და აქ იღრმავებს ცოდნას.

ამ კეთილშობილურ საქმეს ათეული წლებია გატაცებით ემსახურებიან ისნის რაიონის პედაგოგები და უნიჭიერესი, ენთუზიაზისტი დირექტორი **ჯულიეტა დანელია**.

ვინ მოთვლის, რამდენი გამოჩენილი ხელოვანი თუ მეცნიერი დაფრთიანებულა აქ. ასეთი სახლების უდიდეს სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე ერთ მაგალითს მოვიყვან, ოღონდ რესპუბლიკური სასახლიდან: **რამაზ ჩხიკვაძე** – „ვისაც სახელი შორს გაუვარდა, ვინც კაცი იყო და ღმერთად იქცა“ (ლადო ასათიანი).

დედაქალაქის მასშტაბით კი ამ დიად საქმეს სიყვარულით უძღვება ერუდირებული, პროფესიონალი დირექტორი **მანანა წნორიაშვილი**, რომლის ღვაწლი დიდი ხანია, საგანგებო დაფასებას იმსახურებს.

ახლა ისევ სამგორის მოსწავლეთა სახლს მივუბრუნდეთ.

ქალბატონ **ჯულიეტას** ვთხოვეთ, მიმდინარე სასწავლო წლის შედეგები შეეჯამებინა.

რედაქტორი

... თავმოსაწონებელი ბავრი ბვაქს

არაფორმალური განათლების ერთ-ერთ კერას წარმოადგენს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისნის ფილიალი (ხელმძღვანელი **ჯული დანელია**), რომელიც უკვე 17 წელია ემსახურება



ვაზისუბნისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ თემს. დღეისათვის იგი ერთ-ერთი საჭირო დაწესებულება გახდა თავისი ხელმისაწვდომობით, კერძოდ: კვალიფიციური პედაგოგები, უსაფრთხო გარემო და სწავლის დაბალი გადასახადები.

ყოველწლიურად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ქალბატონი **მანანა წნორიაშვილი** და ფილიალის გამგე, **ჯული დანელია**, მშობლებს საინტერესო სერვისებსა და პროექტებს თავაზობენ. განსაკუთრებით წამყვანია შემოქმედებითი მიმართულება: ბავშვთა თეატრი „თაობა“, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,

საესტრადო და ხალხური სიმღერები.

დღეს მინდა გამოვყო ბავშვთა თეატრი „თაობა“, რომელიც 28 წელია ფუნქციონირებს ისნის მოსწავლეთა სახლში და მისი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია ქალბატონი **ირინე შიუკაშვილი**, რომლის სახელს უკავშირდება ბევრი საინტერესო სპექტაკლი და პროექტი.

გამორჩეული პროექტებიდან, რომელიც ისნის ფილიალში ამ სასწავლო წელს წარმატებით განხორციელდა, ესენია:

2023 წლის 11 ნოემბერს, ვაზისუბნის ერთ-ერთ პარკში, ბავშვთა თეატრ „თაობის“ მონაწილეობით მოეწყო



პერფორმანსი სახელწოდებით „თბილისის საუკუნოვანი კოლ-



ორიტი“, რომელიც მიეძღვნა იეზიდურ ტრადიციულ ქორწილს. ამ პროექტის ავტორი გახლდათ იეზიდ ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე ქალბატონი **ლილი საფაროვა**. განსაკუთრებული ყურადღება თავიანთი ოსტატობით დაიმსახურეს მოსწავლეებმა: **მია კუბტავამ, ანანო ტატიშვილმა, მარიამ ქვაჭრელიშვილმა, ანასტასია ყანდაშვილმა, გიორგი გიორხელიძემ, თაკო მეხრიშვილმა, მათე მონონელიძემ, მარიამ ლვედაშვილმა, დავით გოცირიძემ, იანვარაშვილმა, მარიამ თოფურიამ, მარიამ მჭედლიძემ და ლიზი შიუკაშვილმა**.

2024 წლის 26 თებერვალს **გოდერძი ჩოხელის 70 წლის იუბილესთან** დაკავშირებით მოეწყო საღამო სახელწოდებ-

სწავლეები: **გაბრიელ და ზურაბ ესაკიები, შოთიკო მალრაძე, ანი აფციაური, მარიამ არავიაშვილი და ანამარია გოჩაშვილი**. საინტერესო იყო ბავშვების მიერ განსახიერებული თითოეული პერსონაჟი. ბოლოს, იყო შეკეთვები ირაკლი კაკაბაძის მიმართ, რომელმაც გაიხსენა მწერალი და მათ შეკითხვებს საინტერესოდ უპასუხა.

თეატრ „თაობის“ მსახიობებისათვის საქველმოქმედო საქმიანობა არ არის ახალი. ისინი ყოველწლიურად ატარებენ საქველმოქმედო სპექტაკლებს სხვადასხვა სკოლასა თუ სახლებში.

სწორედ 2024 წლის 3 აპრილს 90-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის დადგეს სპექტაკლი „**დამიბრუნეთ ჩემი**



ით „**გახსენება**“, რომელზეც მონვეული იყო მწერალი და მთარგმნელი **ირაკლი კაკაბაძე**. თეატრ „თაობის“ მსახიობებმა შეძლეს **გოდერძი ჩოხელის** ნაწარმოებებზე შექმნილი ლიტერატურული სპექტაკლის ჩვენება, რომელშიც მონაწილეობდა თეატრ „თაობის“ სრული შემადგენლობა და ღირსეულად წარდგინეს მაყურებლის წინაშე შემდეგი მო-

მინა, ყვავილები მინდა დავრგო“, რომელიც ეძღვნება აფხაზეთის დაბრუნების თემას. სპექტაკლმა დიდი მონონება დაიმსახურა.

ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ, მეგობრებო!

**ბორის
კინდელი,**

აფხაზეთიდან დევნილი





ბისურვებით ფრიადებს დაბოუკიდებელი ცხოვრების ბზაზე

ათიათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დაემშვიდობა მშობლიურ სკოლას და დაბოუკიდებელი ცხოვრების გზას გაუყვა. რა შეედრება მღელვარება-სიხარულს, რომელიც ახლავს პირველ მასწავლებელთან, შემდგომ აღმზრდელ-პედაგოგებთან, ბოლოს კლასის დამრიგებელთან და თანაკლასელებთან განშორებას: აი, სამახსოვრო წარწერებით აჭრელებული თეთრი პერანგები, თვალეზზე მომდგარი მსუბუქი ცრემლები, ალტაცება, ჟრიაშილი, ზეიმი... ასეთი იყო ის დღე თბილისის 104-ე სოფიურ სკოლაში.

სკოლის დირექტორმა **ირინა ჟამკორიანმა**, მოადგილე **ალმარ სირადეიანი**, კლასის დამრიგებელმა **ინაბეგა აბრამიანმა** და სხვა პედაგოგებმა გზა დაულოცეს კურსდამთავრებულებს.

უცვლელად განვით მიღებულ მოკლე ინფორმაციას:

ჩვენს არწივებს რა დაბჰავინებს?!

ჩემო ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გულწრფელად გილოცავთ სკოლის დამთავრებას. მინდა გისურვოთ ბედნიერი და საინტერესო ცხოვრება. იყავით ჯანმრთელი, წარმატებული, იღბლიანი, მიაღწიეთ თქვენს მიზნებს. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ თბილისის 104-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები.

** ირინა ჟამკორიანი

თბილისის 104-ე საჯარო სკოლის დირექტორი

ჩემო ძვირფასო კურსდამთავრებულებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას. ჩვენ 12 წელი ერთად გავატარეთ. ამის მერე მინდა, რომ თქვენი გასაღვლევი გზა იყოს წარმატებით სავსე. იყავით ბედნიერები, ცხოვრებაში მალევე გენახოთ თქვენი ადგილი. გზას და-

გილოცავთ კეთილი სურვილებით. გისურვებთ ბედნიერ, წარმატებულ მომავალს. მინდა თქვენი განათლებით, ცოდნით, წარმატებით ასახელოთ როგორც თქვენი ოჯახები, ახლობლები, ასევე ჩვენი სკოლა.

**
სსიპ-ქალაქ თბილისის 104-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

ალმარ სირადეიანი

ჩემო საყვარელო და ძვირფასო კურსდამთავრებულებო, ქალაქ თბილისის 104-ე საჯარო სკოლის დირექციის და პედაგოგთა, ასევე ჩემი, თქვენი დამრიგებლის სახელით გილოცავთ სკოლის დამთავრებას! თქვენთვის ახალი, და-



მოუკიდებელი ცხოვრება იწყება, დიდი ცხოვრებისეული გამოწვევებით და სირთულეებით, რასაც, იმედია, თავს ადვილად გაართმევთ.


წარმატებით სავსე, საინტერესო და ბედნიერ მომავალს გისურვებთ!

2023-2024 სასწავლო წელს გამოფენით 18 კურსდამთავრებული. ოქროსმედალოსნობის კანდიდატები არიან: **ანგელინა ბრუტიანი**, **ერიკ ტერტერიანი**, **ანდრანიკ მკრტიანი**.

მასალა მოამზადა პედაგოგიის დოქტორმა

ბორის მიშველაძე

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია უერთდება ამ ისტორიული დღის სიხარულს. ყველა კურსდამთავრებულს უსურვებს გამარჯვებას დაბოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.



დედაენის დღე 173-ე სკოლაში

ღირსეულად ჩატარდა



მიუხედავად საკუთარი ჭერის უქონლობისა; მიუხედავად სხვა სკოლებში გაფანტვისა; მიუხედავად ქართული ენის სწავლებისადამრთული ბარიერებისა; მიუხედავად სრულყოფილი სახელმძღვანელოების უქონლობისა და სხვა ბევრი უბედურებისა, პედაგოგების, დირექტორ **ლია თუშურის**, მისი მოადგილეების: **მანანა გორგასლიძის**, **ბონდო დავითურის**, მენეჯერ **სალომე ბეკურიშვილი**

ღის პატრიოტული თანადგომით ილიას „ენა, მამული, სარწმუნოების“ საკადრისად ჩატარდა ეს ღონისძიება. მთავარი აქ ერთჯერადი აქტიურობა როდია, არამედ პედაგოგთა თავდადებული დედა ენის წლების მანძილზე.

მე, როგორც „სახალხო განათლება“-ის რედაქტორი, დიდ მადლობას ვუხდით ყველა ზემოხსენებულ პირს. გაზეთის შეზღუდული სივრცის გამო ფიზიკურადაც ვერ შევძლებ დეტალებზე საუბარს.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“... ღონისძიებათა ჩამონათვალშიც კარგად იგრძნობთ, ამ საქმეში „რაოდენი სიყვარულია“ დაუნჯებელი.

მადლენა ასლანიკაშვილი: პროექტი „ხმათა ხვედრების და დმერთების ენა“; **ლია გელგანი:** „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენა“; **თამარ შადაშვილი:** „ქართული დამწერლობა“; **მაია ნანავა:** ღონისძიება „დედაენის“ ძეგლთან; **თამარ ნოზაძე:** მესამეკლასელთა ღონისძიება; **ნინო ზადიშვილი:** ნამუშევრების გამოფენა; **ქეთევან გიორგიშვილი** და **ნაილი ადუაშვილი:** ნაწერების



გამოფენა; **ნინო გიორგიძე:** „არა ბარბარისმეზს“; **ხათუნა დამბაშიძე:** გამოფენა; **მაია ხარატი:** „დედაენის“ ძეგლთან კალიგრაფიის კონკურსი; **ინგა ქავთარაძე:** მხატვრული კითხვა და სხვა მრავალი.

ჩვენც „დედაენის“ მონა ვართ პირზე ოფლგამომდინარე.

ბორის ხარატი



ახალი ხედვა და ხელნერა შემოიტანა



მეორე სემესტრი უფრო ბარაქიანი იქნება

თბილისის 168-ე საჯარო სკოლა მდებარეობს ლილოს დასახლებაში, რომელიც 1970 დაარსდა, როგორც რუსულ-ქართული, ხოლო 2011 წელს მოდიფიცირდა სრულად ქართულენოვან სკოლად. შენობის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ რეაბილიტირებულ იქნა 2022-2023 წლებში: სრულად გარემონტდა პირველი სართული და ადაპტირდა შუამ პირთათვის. მეორე, მესამე, მეოთხე სართულები, სპორტული და სააქტო დარბაზები საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლას საჭიროებებიდან გამომდინარე გვერდში უდგას როგორც ადგილობრივი თითმმართველობა, ისე ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ჩვენი სკოლა 2024 წლის პირველი თებერვლიდან მასპინძლობს ადგილობრივად თბილისის 76-ე საჯარო სკოლას.

2022 წლის 31 იანვრიდან სკოლას ხელმძღვანელობს ქალბატონი ტასო ჩართოლანი. იგი გამოირჩევა ლიდერული თვისებებითა და მენეჯმენტის საუკეთესო უნარებით, რაც გაზიარებული ლიდერობის წარმატებით დაწვრივებაში გამოიხატა. სკოლაში სუფევს უსაფრთხო, თანამშრომლობითი და შემოქმედებითი გარემო. ეს ფაქტორები დადებითად აისახება მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებაზე და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხზე.

სკოლას პეაგოგები წამყვანი მასწავლებლები: თამარ მიქაძე, გივი ედიშერაშვილი, თამარ ბანცაძე, გიტა თვალაბეიშვილი, ლია ოთარაშვილი, ნანა დავითაშვილი. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ უფროს პედაგოგებთან და უზიარებენ მათ საკუთარ გამოცდილებებს.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების პროცესში. პირველ სემესტრში საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბოტანიკური ბაღის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროექტში, რომლის ფარგლებშიც მათ შეისწავლეს წიწვოვანი მცენარეები, დააკვირდნენ სხვადასხვა მიკროორგანიზმებს და ჩაერთნენ

სულ ორი სასწავლო წელია ამ სკოლას ხელმძღვანელობს, მაგრამ ახალი სიო შემოიტანა. აქვს საკმაო გამოცდილება და მართვის ნიჭი. ეს საერთო მიღწევებიდან ჩანს, რაზეც უფრო ძვირფასად გვაჩვენებს საუბარი.

იულიუს კეისარის სიტყვებით: „მივალ, ჰენახე, გავიმარჯვებ“. ისეა აქაც. მაღე ბაშინაშვილმა მასწავლებელმა, როგორც იტყვიან, ნლოვის მანდატი მოიპოვა.

ჩემთვის, როგორც ავსტრალიელ დიპლომატს, ორმაგად სასიხარულოა ტასო ჩართოლანის ბაცნობა. ერთი, რომ ერთდროულად ღირსშესანიშნავი, და მეორე, ჩემი კოლეგა ბახლავი – ქართულის მასწავლებელი. მეც ამავე რაიონში, კერძოდ, 139-ე სკოლაში ათი წელი ვასწავლიდი ქართულს. ქუთაისის კაპიტანის ალბრადი ვარ, ქალბატონი ტასო – დედაუნისპირისტიტისა. ვეფრდნობით სკოლიდან მიღებულ ინფორმაციას.

მცენარეთა ამოცნობის სახალი-სო აქტივობებში.

დაწყებითი და საბაზო საფეხურის 48 მოსწავლემ მიიპოვა „კინგის“ ოლიმპიადის სხვადასხვა ხარისხის დიპლომი. განათლების სამინისტროს მიერ, დაჯილდოვდნენ ჩვენი სკოლის მეცხრე და მეოთხრეტე კლასის,

ცხოვრებასა და ტრაგიკულ აღსასრულს, მის როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში.

სკოლა ჩართულია სამხედრო საქმის შესწავლის საპილოტე პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, 2023 წლის 15 ნოემბერს, მეცხრე კლასის მოსწავლეები დაესწრნენ ვაზიანის სამხედრო

წარდგნენ პავიოგრაფიული პერსონაჟებით დასურათებული მაისურებით, ჩატარეს შემეცნებითი გაკვეთილი „მე და პავიოგრაფია“, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეები.

დღეაქვს დღესთან დაკავშირებით, სკოლის მასშტაბით,



„დეტები და მათი გავლენა მოზარდის ჯანმრთელობაზე“ პროექტი მოიცავს საბაზო და საშუალო საფეხურს. მისი მიზანია მოსწავლეებისთვის იმ საფრთხეების ჩვენება, რაც ე.წ. „დეტებს“ მოსდევს, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის ხაზგასმა.



წარჩინებული მოსწავლეები.

2023 წელს სკოლამ, 90 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, უმასპინძლა საქართველოს დამსახურებულ არტისტს, ბატონ ლეო ანთაძეს. მსახიობსა და მოსწავლეებს შორის გაიმართა

ბაზაზე გამართულ ღია კარის დღეს. განცდილი შთაბეჭდილებები მოსწავლეთა და პრეზენტაციის სახით გააცნეს სკოლის საზოგადოებას.

დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა განახორციელეს ორთვიანი პროექტი



თა საინტერესო დისკუსია ქართულ კინოსა და თეატრის ისტორიაზე.

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელშეწყობით და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „იციანის“ ორგანიზებით სკოლაში ჩატარდა რეჟისორ გიგა თავაძის შემეცნებითი სპექტაკლი „გრიგოლ ფერაძე“. მოსწავლეები გაეცნენ ისტორიული საზოგადო მოღვაწის

„ჩანაცვლე ბულინგი მეგობრობით.“ დასკვნით ეტაპზე გამართულ კონფერენციაზე შეჯამდა პროექტის მიღწევები.

პავიოგრაფიის შესწავლის წახალისების მიზნით, ფილოლოგიის კათედრამ მეთუ კლასის მოსწავლეებისთვის დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე ექსკურსია, წმინდა მოწამე შუშანიკის საფლავის და წმინდა აბოს წამების ადგილის მონახულების მიზნით. ბავშვების

ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მშობლებისა და მასწავლებლებისგან შემდგარმა უფროსმა გამოავლინა გამარჯვებულები და დააჯილდოვა ისინი სიმბოლური პრიზებითა და სიგელებით.

სკოლის ინკლუზიური განათლების ფარგლებში, სპეც მასწავლებლებმა პედაგოგებთან ერთად, ჩატარეს დედის დღის დღი-სადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სსმ მოსწავლეები. ღონისძიების ფარგლებში მათ დაამზადეს საჩუქრები დედაებისთვის.

სკოლაში სამოქალაქო პროექტის სწავლების ფარგლებში, საშუალო საფეხურის მოსწავლეები ეწვივნენ ავერსის ქარხანას. დაათვალიერეს, გაესაუბრნენ დირექტორს, წამყვან სპეციალისტებს, დაესწრნენ მედიკამენტების (კორსიზი) დამზადება-შეფუთვის პროცესს, გაეცნენ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმებს.

პირველ სემესტრში სსიპ ქალაქ თბილისის 107-ე საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა სკოლათაშორისი სპორტული შეჯიბრი ფრენბურთში, რომლის მიზანიც მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია იყო.

მომავლის გეგმები: ახლო მომავალში იგეგმება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და ღონისძიება. კერძოდ: „დეპრესია-21-ე საუკუნის გლობალური გამოწვევა.“ პროექტის მიზანი დეპრესიის თემის ტაბუირების მოხსნა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის როლის გაცნობიერება, დეპრესიის გამომწვევი მიზეზების, სოციუმის, დაავადების ფორმების და რისკ-ჯგუფების შესწავლაა.



არაკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალი თაობის შეხედულებებზე დაყრდნობით.

თავისუფლების დღის აღსანიშნავად სკოლაში იგეგმება საერთო სასკოლო ღონისძიება სადაც ყველა კლასი წარმოადგენს საკუთარ შემოქმედებას.

სემესტრის ბოლოს დაგეგმილია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის გასართობ-შემეცნებითი პროექტი „რა, სად, როდის“.


ბავშვთა დაცვის დღეს სკოლა საზეიმოდ აღნიშნავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების „მხიარული სტარტებით“.

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი“ (გალაკტიონი).

კიდევ ახალ-ახალ გამარჯვებებს ვისურვებთ, 168-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე.
აფხაზეთიდან დევნილი

პატარებს ცნობიერებას უყალიბებენ



იზა კვანტიძე: 45-ე ბაბა-ბალის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღსაზრდელთა გადაჭარბებული რაოდენობა კი, კანონთან შეუსაბამოა. ეზოს კვლავ ესაჭიროება განახლება, რათა სრულად დაეკმაყოფილოთ ავტორიზაციის პირობები. რაც შეეხება ახალ პროექტებს, პერიოდულად ტარდება თანამშრომელთა ტრენინგები - სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესი სულ უფრო იხვეწება და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, მშობელთა ჩართულობას ბალის ყოველდღიურ ცხოვრებაში კი, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენი მიზანია: ადაპტირებული სააღმზრდელო პროგრამის საშუალებით, ბავშვებისთვის მაქსიმალური ცოდნის მიწოდება

45-ე ბაბა-ბალი, თბილისის საბავშვო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული და სანიმუშოა. ამ აღსაზრდელებს შემოქმედებით უნარებს უვითარებენ, დისციპლინას ასწავლიან, ცნობიერებას უყალიბებენ, შთაბონებით ავსებენ და მოტივაციას აძლევენ. ბაბა-ბალში აღსაზრდელებისთვის კეთილმოწყობილი და საიმედო გარემოა შექმნილი, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით. ღირებულორი **იზა კვანტიძე** გამოცდილი და უნარიანი მენეჯერია, რომლის დამსახურებით საბავშვო დაწესებულება დიდი პოპულარობით სარბებლობს და მსურველთა რიცხვი ძალიან მაღალია.

და სასურველი შედეგების მიღება, ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. წარმატებით განხორციელდა აღსაზრდელების წინა სასკოლო მომზადება. სკოლაში წამსვლელ თითოეულ ბავშვს აქვს პორთფოლიო და „სასკოლო მზაობის“ სტანდარტის მიხედვით შეფასებისა

და განვითარების გეგმის მიღწევის შედეგები. აღსაზრდელები ძალიან საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში არიან ჩართულები. საბავშვო ბალის წარმატებით მუშაობაში დიდი წვლილი მიუძღვის მთელ შემოქმედებით კოლექტივს. დირექტორს მხარში უდგანან და დაკისრებულ მოვალეობას თანაბრად იწინილებენ: მოადგილე **ნათია ფუხაშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ლალი ბერია**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის

და განვითარების გეგმის მიღწევის შედეგები. აღსაზრდელები ძალიან საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში არიან ჩართულები. საბავშვო ბალის წარმატებით მუშაობაში დიდი წვლილი მიუძღვის მთელ შემოქმედებით კოლექტივს. დირექტორს მხარში უდგანან და დაკისრებულ მოვალეობას თანაბრად იწინილებენ: მოადგილე **ნათია ფუხაშვილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ლალი ბერია**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის

კოორდინატორი **ნინო ჩიბურდანიძე** და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფის კოორდინატორი **მაია თათარაშვილი**. ბაბა-ბალის აღმზრდელები პროფესიონალები არიან და პატარებს დედობრივ მზუნველობას არ აკლებენ. ესენია: **მანანა ქველაძე**, ანა **ჯანიაშვილი**, **მაია ვაშაყმაძე**, **ნანი ნახუცრიშვილი**, **იამზე კვანტიძე**, **ირმა ბერიძე**, **მანანა ციცივიძე**, **ქეთინო მესხორაძე**, **თამარ ლაბუჩიძე**, **მაკა გიორგაძე** და **ნინო**

გაგრძელება მე-6 გვ.



45-ე ბაგა-ბაღი

მეხუთე კვარტალიდან



ფანქველაშვილი. აღმზრდელის თანაშემწეები: ლია ფოცხვერაშვილი, მაია ყანჩაველი, დალი მათიაშვილი, ნათია ნიკლაური, თამარ ახალმოსულიშვილი, ქეთევან ჩალაძე, ლია ალანია, ნანა ჩხაიძე, შორენა გეგუჩაძე, ცისანა მელქაძე და მაია ბურდული.

აღსანიშნავია, რომ 45-ე ბაგა-ბაღში 30 განსაკუთრებული საჭიროების მქონე (გ.ს.მ) აღსაზრდელია, რომელთა აღზრდას ემსახურება მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგი ლალი ნაზარაშვილი, ლოგოპედი მაია შიხიაშვილი, სპეც.პედაგოგები: ნანული აბუთიძე, მარიამ ჯარმელიშვილი, ლელა ნადირაძე, ნინო ფეიქრიშვილი და ლია ყიფიანი. მათ ეხმარებიან და თავს არ ზო-

გავენ აღმზრდელის თანაშემწეები: მაია გულორდავა, მზია სოზიაშვილი, თაკო ერაძე, დონარა მადოიანი და მარიამ მაისურაძე. ბაგა-ბაღში აღსაზრდელის კვეთაზე ზრუნავენ ჩინებული მზარეულები: მზია კველიშვილი, ეკა ნაირაშვილი და თეონა ბროლაძე.

45-ე ბაგა-ბაღში დიდი ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აქ სისტემატურად ტარდება სხვადასხვა აქტივობა მაგალითად, ოქტომბერში გაიმართა „ოქროსფერი შემოდგომის“ ღონისძიება.

დეკემბერი კი, საახალწლო ზეიმით გააღამაზეს, სადაც ბავშვებს ტრადიციული საახალწლო საჩუქრები გადაეცათ. საბავშვო ბაღში აღინიშნა დედამიწის დღე და აუტიზმის ცნობადობის გაზრდის საერთაშორისო დღე. ახლახანს, ბაგა-ბაღის აღსაზრდელმა სასტუმრო „Wyndham grand Tbilisi“-ში („ვინდჰამ გრანდ თბილისი“) გამართულ საქალაქო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და საქართველოს ჰიმნი შეასრულეს.

ამჟამად, „სასკოლო მზაობის“ აღსაზრდე-

ლები გრანდიოზული ზემოსთვის ემზადებიან და სასწავლო წლის დასასრულისთვის დაგეგმილია სამი გამოსაშვები ჯგუფის ღონისძიების გამართვა.

ანანო
სამელია



134-ე ბაგა-ბაღი

აღსაზრდელებს სიყვარულს არ აკლებენ



„სინათლე“- ასე ეწოდება საბურთალოს, მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე 134-ე ბაგა-ბაღს, რომელიც მართლა სინათლესავით ასხივოსნებს არემარეს. აქ ხომ პატარების ჯადოსნური სავანეა, რომელიც უბანსაც ამშვენებს და ალამაზებს. საბავშვო ბაღს სათავეში უდგას შესანიშნავი პიროვნება და გამორჩეული ხელმძღვანელი მზია ცაავა-კოლოჩევა. ქალბატონი მზია სოსხუშის მკვიდრია და პროფესიით პედაგოგი-ფილოლოგი გახლავთ, რომელიც ბაღს უკვე 27 წელია წარმატებით ხელმძღვანელობს. დამსახურებული პედაგოგი სკოლაში მოღვაწეობის 45 წელს ითვლის. მზია ცაავა-კოლოჩევა: 134-ე საბავშვო დაწესებულების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და მორგებულია მცირე რეკონტინგენტის ბაგა-ბაღის სააღმზრდელი-ესთეტიკური განვითარების პროცესს. ბაღი მოწყობილია შესაბამისი კუთხეებით, რომელიც ხელს უწყობს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა

ფიზიკური, შემეცნებითი და ზნეობრივი მომნიშვნის უზრუნველყოფას.

ამ ეტაპზე ვემზადებით ავტორიზაციისთვის და გვინდა, რომ ინფრასტრუქტურა მორგებული იყოს აღსაზრდელთა საჭიროებებს. 134-ე ბაგა-ბაღში კომფორტული, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაში ხელი შეგვიწყო ბაგა-ბაღების სააგენტომ და მისმა ხელმძღვანელმა კახა აბულაძემ. აღნიშნულ უწყებაში ხშირად ვმართავთ სამუშაო შეხვედრებს, სადაც განიხილება ბაღების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის ოპტიმალური გზები და სამომავლო გეგმები. უკვე განხორციელებულ პროექტებს რაც შეეხება, ვატარებთ შემდეგ აქტივობებს,



კერძოდ: სააღმზრდელი პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით მოვიწვიეთ ანიმატორები. ასევე, გვსტუმრობდნენ ცირკის მსახიობები და თოჯინების თეატრი. ჩავატარეთ აქტივო-

ბები: შემოდგომის ფერებში გამოხატვა და ინსცენირება; ახალი წლის აღნიშვნა, თოვლის ბაბუასთან წერილების გაგზავნა და თამაშებით პატარა ზეიმის მოწყობა. გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებით კი, პატარებმა დედებს ყვავილების თაიგულითა და თავიანთი ხელით მოხატული სასაჩუქრე ბარათებით მიულოცეს დედის დღე. საბავშვო ბაღში აღინიშნა 21 მარტი - დაუნის სინდრომის ცნობადობის დღე. წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს კი, სტუმრად გვეწვია მეზღაპრე ნარო კოლხელი (ნარიმან იაშალაშვილი) და პატარებს საჩუქრად გადასცა თავისი ზღაპრების კრებული. ასევე, გვეწვივნენ სკოლის მე-11 - მე-



ვა. საბავშვო ბაღში ვატარებთ გასვლით ღონისძიებებსაც. თბილისის მერიის ორგანიზებით და ხელშეწყობით, ვმონაწილეობთ თბილისობისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

ამჟამად, ბაღში მიმდინარეობს სამზადისი სკოლაში წამსვლელი აღსაზრდელისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ვართ მცირე რეკონტინგენტიანი (შერეული ჯგუფი) აღმზრდელს აქვთ შესაძლებლობა ოპტიმალური დრო დაუთმონ - „სასკოლო მზაობის“ პროგრამის მიხედვით, მათთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას.

134-ე ბაგა-ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ყველა იმ უნარების ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელია პატარების განვითარებისათვის. ტარდება სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ყურადღება ექცევა შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხატვას, ძერწვას, ნახატების ამოცნობას, ფე-

რებისა და გეომეტრიული ფიგურების გარჩევას, წაკითხული, მოსმენილი ამბების გააზრებას, ნახატების აღწერას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ჰიგიენას გარემოზე ზრუნვას და ა.შ.

ბაღში დაინერგა „ჰასპის“ სისტემა და კვების უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა. ბაგა-ბაღის თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას და თავდაუზოგავად ზრუნავენ აღსაზრდელის კეთილდღეობაზე.

– მიხარია და ვამაყობ ბაღის კოლექტივით და დიდ მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ – ამბობს ქალბატონი მზია და თითოეულ მათგანს წარმატებებს უსურვებს.

ჩვენც წარმატებებს ვუსურვებთ 134-ე ბაგა-ბაღის მესვეურთ!

მზია
ბობოქა





მარი კანდელაკი

ღეღა

ღეღა აკვანში რომ დამანვენდა, თურმე, სასთუმალს ცრემლით ვავსებდი, ყველგან ვეძებდი ხელის ფათურით, რომ შევხებოდი დაუყოვნებლივ.

როგორც კი ჩემგან შორს გავიდოდა და გულის ცემას ველარ ვისმენდი, მარტოდ დარჩენილს შიში მიპყრობდა, რომ მის გარეშე - აღარ ვიქნები!

დედის თვალები რას შევადარო, განა, რამეა მის შესადარი? ან დედის გულზე უფრო მამაცი რა გეგულებათ, ხალხო, მითხარით?

დედის ტკივილზე უფრო ძლიერი, დედის სითბოზე უფრო საამო, დედის ღიმილზე უფრო ძვირფასი, დედის სახეზე უფრო სათნო.

რა ძლიერია დედის ინსტინქტი, შვილის შეგრძნებებს ღრმა ძილშიც იგებს, შეძლებ შენს ირგვლივ ყველას ცდუნებას, მაგრამ შენს დედას ვერ მოატყუებ.

თუ ვინმე დადის ამ ქვეყანაზე, ვინც დედის ფასი დღემდე არ იცის, გთხოვთ, გაუფრთხილდით ამ დიდ სიყვარულს, რომლის სადარი ქვეყნად არ არის.

თუ აღარა გყავს ცოცხალი დედა, არ ნიშნავს იმას, რომ მარტო დარჩი, იფიქრე მუდამ, რომ შენს გვერდით დგას, გარდაცვალება ვერ განყვეტს კავშირს.

და თუ უდებოდ გაზრდილხარ, კარგო, მე ვერ შევიგრძნობ შენსავით ამ დარდს, მაგრამ იცოდეთ, რომ დედის ჩრდილი ფეხდაფეხ მოგდევს და გზას გიკაფავს.

განშორება

როგორ გამცნოთ მრისხანება მისი უსამართლო, უდიერი ქცევა, თეთრ ფერებში შემოსილი ყვავი, მოძალადე, სულის მჭმელი - კელა.

ტყუილ ფიქრში დაკარგული წლები და სიკეთის გამარჯვების რწმენა, მჯეროდა, რომ ბოროტებას გავთელავდი რწმენით და მყინვარებს წყლად ვაქცევდი ჩემად.

არ მეგონა თუ შემეძლო ზიზღი, კეთილ გოგოს მეძახიან ყველგან, მაგრამ ახლა გიზიარებთ ყველას, სიძულვილის ფერი რომ ეწვია ჩემს თავს.

დამამცირა, გამანბილა ყველგან, არ ჩამთვალა სიხარულის ღირსად, დამონებას ეძახოდა ტრფობას, მოძალადე სულის მჭმელი-კელა.

როგორ ვანდე ამ ველურ ხმას თავი და გულქვა გულს შევეფარე ობლად, მას კი უნდა დამინახოს მკვდარი, ამაოა მისი ფიქრიც, ნდომაც.

დესპოტია - გამოერკვას თავში, ერთგულებას მამეტებდა მუდამ, ახლა ვიცი, არც ერთგული იყო, გამიცრუა იმედები ოხრად.

ვერ იტანდა ჩემს მომლიმარ სახეს, ვერ იტანდა ჩახუტებას ჩემსას, ბოლოს მთხოვა დამანებე თავი, ვიხუტები! ვიხუტები შენთან!

სხვას არაფერს გავიხსენებ ახლა გულმა იცის ყველა მისი ფრაზა, შევეცდები გაპატიო, რადგან ჩემს გონებას აბინძურებ ახლაც.

სანამ ჩემს ცუდს დაისახავ მიზნად, მაშინ ღმერთი აგარიდებს მიზანს, შეეცადე, რომ უშველო შენს თავს, რადგან ორჯერ ველარ მოხვალ ქვეყნად.

წვიმა

ჩემს ფიქრებს ნამავს წვიმის წვეთები და ხელახალი ფიქრები ჩნდება, როგორც ფესვები, ბევრჯერ მორწყვისას, უფრო მეტ ფესვებს ავრცელებს - ხელად.

როგორც წყვილიაღში, მანათობლები შუქს, რომ მოჰფენენ მთელ სამყაროს, გამოუთქმელი ძალით ამხნევენს, წვიმის წვეთები, ჩემს სულსა და გულს.

ჰო, მიყვარს წვიმა, მისი სისველე, ტკივილებს ფილტრავს მისი ხმაური, მის წკაპი-წკუპზე ჩემი მუხები კალამს იღებენ ნაზი ხელებით.

ჰო, მიყვარს წვიმა, მისი სისველე, ზაფხულის ცხელ დღეს მისი სურნელი, შფოთით აშლილმა ბევრჯერ ვინამე მისი ძალის და მისი ხმაურის...

სიყვარული

ვიღაც იტყვის, სიყვარული მარტივია, მე კი ამ დროს სულ არ ვფიქრობ ასე, სიყვარული, ერთმანეთის გატანაა, თუ დანებდი ნავა თავის გზაზე.

ზოგი ფიქრობს, რომ მრავალჯერ აღებს კარს, ზოგს კი ერთხელ გახსნისა სწამს, ამ საკითხზე დავა არ ღირს, ყველას ისე სჯერა, როგორც მის გულსა სწამს.

სიყვარულზე მე რას ვფიქრობ? მარადიულ ყვავილსა ჰგავს, და რუჭრუჭა კაბას ჰგავს, და კაშკაშა ვარსკვლავს ჰგავს.

სიყვარული გულწრფელია, უინტრიგო და უმანკო, ზოგჯერ ფიცხი ცხვეცაც ახლავს, უნებურად, რა ქნას, კაცო.

სიყვარულის გაგონება კეთილ ამბავს მოგაგონებს, სადაც ბოროტს წვდომა უნდა, რომ გასტეხოს ეს სიმაგრე, ზოგჯერ აღწევს ამ სანადელს, ზოგჯერ გარბის მრისხანებით, დაიცავი სიყვარული უფლის მიერ ნაჩუქარი.

მთვარის სონეტა

მთვარის სონეტამ მუზა გამიხსნა, მოცარტის ჰანგებს ვერ შეველიე, მელოდიებმა ისევე შემიპყრო და ბედნიერი შემდეგ სტრიქონს ვწერ:

დღეს მე სიბნელე აღარ მაშინებს, არც ლაბირინთი პირამიდების, ჩემს სულში ვთესავ ფერად ყვავილებს, მზაობა მომცა ღმერთმა ასეთი.

ბაგეზე ღიმილი მაინც შემომრჩა და მზის სხივები ალერსით მავსებს, არ დამიკარგავს მომავლის რწმენა და სიყვარული ჩემს გულს რომ თან სდევს.

განცდები

მე ჩაგახედეთ ჩემს სულში, გაგანდეთ მძაფრი განცდები, გთხოვთ, ნუ გამკიცხავთ ამისთვის, სუსტი ვარ და დავეცემი.

მომეჩვენება სიმკაცრედ თქვენი ნასროლი ფრაზები, დავითრგუნები უთუოდ და ნალველს შევეფარები.

თქვეს რომ თბილია

თქვეს რომ თბილია, მეც დავიჯერე, მომინდა უფრო სითბოს გაფანტვა, მაგრამ სიცრუეს ვერ გაექცევი და ყალბი სიტყვის მოსმენას აქა.

რატომ ვარ ღმერთო ასე ჯიუტი, რატომ არ უშვებ გრძნობის ქარავანს, როცა ამ სითბოს სიცივე თოშავს და შავ ღვინოში ცრემლი ტკივილს სვამს.

ოხ, როგორ მინდა

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც მთელი გულით შემეყვარებდა, ჩემი ღიმილით რომ გავუქრობდი ნაოჭებს, რომელიც ბაგეს თან სდევდა.

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც გვირილებით მეთამაშებდა, გვირგვინს მაჩუქებს, ფრთებს შემომამასხამს და სიყვარულზე მესაუბრება.

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც ჩემს ლექსებთან ღამეს გაათევს, გამთენიისას ყურში ჩურჩულით მეტყვის, სიცოცხლე არსად წახვიდე.

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც ჩემს შავ თვალებს დაუნყებს ცქერას, ერთად დავიპყრობთ ეტა-კილიას, ბეტელჰეიმის და ალგოლიას.

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც ჩემი სულის სიმდიდრეს ხედავს, ვინც ღირსად ჩამთვლის პატივი დამდოს და ხშირად მითხრას - ოცნება შენ ხარ.

ოხ, როგორ მინდა მასთან ცხოვრება, ვინც მთელი გულით შემეყვარებდა, ჩემი ღიმილით რომ გავუქრობდი ნაოჭებს, რომელიც ბაგეს თან სდევდა.

ღია გაკვეთილის სიბლი



მანონი კაკაჩიძე

ლოლიტა

ბაბუსა და ემიგრაციაში დაბადებული, სამშობლოში დაბრუნებული შვილიშვილის პირველი შეხვედრა

ბილიკს მიჰყვება მოხუცი, წელში მოხრილი, ჯოხითა, ფიქრის მორევში ჩაფლული, გარდასულ დროთა სრბოლისა.

ყმანვილკაცობას იხსენებს, იგონებს გულის ჩქროლვითა, ეშხით მომხიბვლელ თვალებით დღესაც რომ ეტრფის ლოლიტას.

ანაზდად ხედავს, აოცებს მისკენ მავალი ასული... ასული ალვის ტანისა, ნაზ მოგონება წარსულის.

სახე ბადრ მთვარეს მიუგავს, გამონათებას ცისკრისას, თმები გიშრისფერ აშლილი, ნიავით მოფრიალესა.

წარბი – მოზიდულ მშვილდ-ისარს, სასროლად გამზადებულსა, თვალნი იისფერ ციმციმა, ვარსკვლავებ მობრჭყვიალესა.

ტუჩები – ბანტად შეკრული, ვარდის კოკორთა მგვანეთა, ყელი, ქათქათა გედვიით, ტბას ნაზად მოსრიალესა.

კბილები, თვალ-მარგალიტის, მწყობრად ჩამოსხმულ ლილებად, მკერდი, ბროლისებურ კოკრებად ურუანტლის მომგვრელს, ცბიერად.

წელი, ელვისებურ მოქნილი, სარტყელით დამშვენებულსა, თეძო, ჯიშინ ფაშატსა, შეჯიბრად გამზადებულსა.

მოხუციც უახლოვდება გულის ძგერით და შფოთვითა, თვალთ ნანახს არ უჯერებს, ღმერთო, როგორ ჰგავს ლოლიტას.

„ლოლიტა ვარო... ლოლიტა, ბაბუ!.. – გუგუნად ესმის ხმა მოძახილი შორიდან, – სამშობლოს დაბრუნებული, შენი ბადიში, ლოლიტა.“

მოხუცი გულში იხუტებს, ნაზი ალერსით, შვილიშვილს, როგორ გაზრდილხარ და უკვე დაქალბუღხარ ლოლიტაში.

ხელებანვდილი, მუხლჩოქით, უფალს სთხოვს მალღობი ზეცასა, ჯიშინ-ჯილაგი ამგვარი არ მოუშალოს ქვეყანას. ამინ!

143-ე ბაბა-ბაბო

ლამაზად ბატარაბული დღეები



თბილისის 143-ე ბაბა-ბაბოში (დირექტორი ირმა მაყიშვილი) უსაფრთხო და ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი. მოწესრიგებულია შენობა და მოვლილია ეზო, სადაც მოწყობილია სხვადასხვა გასართობი სივრცე, ატრაქციონები. აქ აღსაზრდელები სიხარულით ეუფლებიან მათი განვითარებისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან აქტივობასა და უნარ-ჩვევებს. შენობაში სააღმზრდელო ასაკობრივი ჯგუფები მოწყობილია უნივერსალური დიზაინით, ცენტრები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. მაღალია მუშაობის შინაარსობრივი მხარე, რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვს კოლექტივის თითოეულ წევრს: მოადგილე ნონა სალირაშვილი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ქეთევან სუსუნიაშვილი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი გულნაზ მუხიგულაშვილი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები – ნადეჟდა

ჯვანტიაშვილი და მეგი რაზმი-აშვილი, საქმის მწარმოებელი ნინო გვილავა და თანამემნე ხატია გორდენიანი;

ყოველდღიური აქტივობების, პროექტებისა თუ



პრეზენტაციების მოწყობის პროცესში აქტიურად არის ჩართული მულტიდისციპლინარული გუნდი – ფსიქოლოგი მია კობახიძე, სპეც. პედაგოგები: მაკა მანჯგალაძე, თეა რუხაძე, ეკატერინე მუხიგული,

ეკა ცერცვაძე, მარია ჯადუ-გიშვილი, ნინო ფილიშვილი; პატარების მეტყველების განვითარებაზე ზრუნავენ ლოგოპედები: მაყვალა კობიძე და შორენა ბენდელიანი; გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და მათი მიღწევის გეგმის შედგენაში, მათთან ერთად, მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ. სააღმზრდელო ჯგუფებში შესაბამის ასაკობრივ პროგრამებს წარმატებით ასორცირებენ აღმზრდელები: ქეთევან ბალაშვილი, ხათუნა ბაზიკიანი, ოლა ტურაშვილი, თეა



შაპოვლოვი, ეკატერინე ნიქარიშვილი, ქეთინო ხარიტონაშვილი, ნინელი არაბული, ეკა ლაგურაშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი, თეონა ბახტურიძე, დარეჯან თოდაძე, შორენა ფანჯარაშვილი, ლარისა ხერკელაძე, ნინო ამირეზაშვილი, ელზა ზედგინიძე;

პატარების დადებითი ემოციებით დამუხტვა და მათზე ზრუნვა აღმზრდელის თანამემნეების დამსახურებაა: ნინო დოლიძე, ნათია ყანდორელაშვილი, ხათუნა ბუზალაძე, ლეილა ბერაია, ნინო გოდერძიშვილი, ლალი ჩუბინიძე, სუსანა ქარაია, მთვარისა ქრისტესიაშვილი,



თამარ გაბიძაშვილი, ანა ცუცუქი-რიძე, ლელა გულორდავა, ნონა სალირაშვილი-ებრაღიძე, ნინო ჭოლარია, ია ქვეანიშვილი, ქეთი ჩადუნელი;

ყველა ასაკობრივ ჯგუფში თემატურ აქტივობებსა თუ ლონისძიებებს ლამაზად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – ნანული ჯანუყაშვილი, მარინა ნასუაშვილი და თამარ ლავრელაშვილი;

კეთილმოწყობილ სამზარეულოში პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლებიან მზარეულები: ნათელა ჯობეიშვილი, დარეჯან სუსუნიაშვილი, ლალი ნონკოლაური, მანანა მეშველიშვილი, მანანა ჭიაბერაშვილი;

შრომის შედეგი სახეზეა. მოწესრიგებულ, სუფთა და უსაფრთხო გარემოზე ტექნიკური პერსონალი ზრუნავს: დალი მერებაშვილი, ეთერ მჭედლიძე, ხატია მეტრეველი,

მედიკო თიძიძე, რუსუდან სამხარაძე, ნინო ოთინაშვილი, ირინა მიქოიანი;

ბაბა-ბაბოში სააღმზრდელო პროცესი ახალი კურიკულუმის მიხედვითა და თამაშით სწავლების მეთოდით მიმდინარეობს. მრავალფეროვანი თემებით გაჯერებული სახელმძღვანელოებით ხდება აღსაზრდელთა მომზადება „სასკოლო მზაობის“ ჯგუფებში. სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე დაიგეგმა და განხორციელდა ბავშვზე მორგებული ლონისძიებები, აქტივობები. ყოველი შემდგომი ლამაზი და საინტერესო დღისთვის კი კოლექტივს, პატარების გულწრფელი სიყვარული მატებს ძალას...

ნათია გუზუნაძე



თუ დაბავინყდათ, გაიხსენაეთ! თუ არ იცოდით, დაისწავლეთ

აი, ზოგიერთი მათგანი:




ბრიგოლ ორბელიანი

„აღჩნდნენ მწერლები, ჟურნალისტები, ვაი საბრალოს... ვაი, ჩვენს ენას! მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა, სულ წაგვიბილნეს ენა მდიდარი, ენა მაღალი, მის მაღლი, ძალი უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში. ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს. წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“



გალაკტიონი

შენ, რომელიც მარად მზეებერ გვინათ, არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად, არამედ მზის ამოენათე ბრწყინვად ოცდაექვსი საუკუნის წინათ... შენ სიძველის გამოსავს ნელი ხავსი ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი დიდის გზნებით ასე იყავ სავესე ოცდაექვსი საუკუნის წინათ... შენით მღერდა მომღერალი ვეფხვის, უდარებლად მცოდნე ლექსის ხერხის, ეს შრიალი იყო მრავალ ვერხვის ოცდაექვსი საუკუნის წინათ... ქალიშვილი შენით მღერდა ჩონგურს, შენ ჯერუშულელს მაშინ ჰგავდა კოკორს, ან სულ სხვა ხარ, არ იმგვარი, როგორც ოცდაექვსი საუკუნის წინათ...“



ირაკლი აბაშიძე

ო, ენა ჩემო, დედაო ენა, შენ ჩვენი ნიჭო, სრბოლავე და ფრენავე, შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან. ნათესავს ათასს მეგობარს ათასს,

მრუდსა და მართალს, მტერთა და ძმათა დავშორდი, მორჩა, ყველა მოთავდა, მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა, მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ - ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად. თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა, უტკბილეს დღეთა უტკბილეს წამთა, უტკბესი შენ ხარ, ენავე დედაო, შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო, შენ, ყოველის მთქმელო, ყოველის არ მთქმელო, შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო, წარსული ძეგლო, წინ გამხედავო. ქვესკნელში მძრომი, ცაში მჭვრეტელო. ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო, შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის... იბერის ენავე, ენავე თამარის... შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავე და ფრენავე, დედაო ენავე, დედაო ენავე! დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა, მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად, დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას, დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას. ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი, ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი, მხოლოდ შენ უტკნობს, შენ ხატად ქცეულს, რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს? ო, ენავე ჩემო, დედაო ენავე! შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავე და ფრენავე, შენ, ჩვენი სულის დიდო ალამო, და ტკივილების ტკბილო მალამო! შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან...



იოსებ ნონაშვილი

თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი

იაკობ გოგებაშვილს

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი, სიძნელეს გზისას არად აგდებდი. როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის, გშვენის დიდების შარავანდედი.

გულის ლადარში წიგნი წრთობილი მტრის შუქს აქრობდა, ჩვენს გულს ათბობდა. შენ ბიბლიური იაკობივით ერკინებოდი უსამართლობას.

წიგნი კი არა, ჩვენთა მართვეთა სიტყვა, სიმღერა ხალისიანი, წიგნი კი არა, ფარი ქართველთა, ამოღებული ხმალი ფხიანი.

წიგნი კი არა, ყრმობის ზღაპარი, წყაროს ჩუხჩუხი, ფშვინვა იათა, წიგნი კი არა, წმინდა ლამპარი, შეჭიდებული ლამის წყვდიადათან...

ტოროლა, ცად რომ მიიტყორცნება, მაღლა აჭრილი მთები მზიანი, ხამისპერანგა ბიჭის ოცნება, ნამგლის წკრიალი, ყანის შრიალი...

წიგნი კი არა, მიმოფანტული კაბადონებზე სხივთა მარმაში, სიტყვა ქართული, სული ქართული ჩართული დედის იავნანაში.

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი, შენს წმინდა წიგნში ამოქარგული; თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული.

ჩვენ კარგად ვიცით აზრი ხალასი, რაც გვიანდერძა წიგნმა ნათელმა: თუ დედაენით შეილებს არა ზრდი, თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად.

ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული, განა სიტყვები?... ნატერის თვლებია. თუ დაივიწყე ენა ქართული, მამ, საქართველო დაგვიწყებია...

ვინა სთქვა, ვითომ ბედმა დაგვცინა, ძე არ გაღირსა, როგორც ილიას, ვისაც მამულის მაღლი აცხია შენი ძე არის, შენი შვილია.

განა რა ძალით დაიკეცება ან ეს ტრამალი, ან ეს ჩვენი ცა... მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა შრიალი შენი „დედაენისა“.



ლადო ასათიანი

ქართული ენა

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავე! მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა, მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა, ჯაგანარებში ირმის ჯოგის ნავარდობა, გაფანტული ფარის მთაზე დაჯანლება და ქართული ფარის ფარზე დაჯახება! უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა, მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს, სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს, ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში, როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ და სიზმრები როცა, თვლემენ სასთუმალთან... საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავე!“

რედაქტორის მიხანარი:

იაკობის „დედაენის“ შემდეგ კარგი სახელმძღვანელო გამოსცეს **ნინო ბოცვაძემ** და **ეკატერინე ბურჯანაძემ**. გასული საუკუნის ბოლოს პროფესორმა **ვალერიან რამიშვილმა**, რისთვისაც მას მეორე გოგებაშვილს ეძახდნენ. დღეს? გვირახის ბოლოს სინათლე არა ჩანს. რატომ? რატომ და გაძევებულია აკადემიკოს აკაკი შანიძის სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული ენა“. შემდეგ? ჟურნალისტმა სიტყვათა რიცხვში შეთანხმება არ იცის?! მოწოდება ყველას: გიყვარდეთ დედაენა, გიყვარდეთ საქართველო, მეტად, თავზე მეტად!“



ლალი ასაბაშვილი

მიმაქროლებს ცხოვრება

მიმაქროლებს, მივეყვები შემოდგომის მირაჟებს, მე არ ვიცი, ცხოვრება რა სიურპრიზებს მიმზადებს.

დრო მიდის და იცვლება, ველარ ვუსმენ არაკებს, უშენობას ვებრძვი და ფოთოლცვენაც დარდს მმატებს.

რა ვქნა რითი ვუშველო, სულს მიძარცვავს ქარები, რაც კი კბილით მეჭირა, აღარ შემრჩა ძალები.

მიმაქროლებს ცხოვრება, მერე სადღაც გამრიყავს, ჩემი დაღლილი სული, მაინც ცაში ამიყვანს.

მერამდენე ღამეს ვათევ

მერამდენე ღამეს ვათევ დარდიანი, მივეჯაჭვე, შემიკედლა მთვარემ. ამინდებიც აღარ დადგა დარიანი, კაშკაშა მზე, მინდა ვნახო ხვალე.

ხან წვიმაა, ხანაც ქარი ქარაფშუტა, ვხედავ, გული ველარ უძლებს ამდენს. ღამეც თოთქოს განაწყენდა გამებუტა, მას ხომ ჩემი უძილობა მართებს.

სადაცაა განთიადი გამინათებს, მთვარეს უნდა ჩემს სარკმელთან დარჩეს. მზე ამოვა, მიმოაფრქვევს ათინათებს და მიუჩენს ღამეს თავის სარჩელს.

მერამდენე ღამეს ვათევ დარდიანი, ალიონზე დავმორდები მთვარეს. თუ ამინდი ხელს შემინყობს მადლიანი, მივაშურებ ჩემს მშობლიურ მხარეს.

თბილისს

დავალ წყნარად, მივუყვები მტკვრის ნაპირს, დავატარებ ჩემს სითბოს და თილისმას, უსამშობლოდ რაც ვენამე ვიარე, მინდა, მალე დამავინყოს თბილისმა.

დავდივარ და გულს მედება მაღამოდ, მთანმინდიდან მონაბერი ნიავი, ნეტავ მალე ყველა დაბრუნდებოდეს, სამშობლოში, რომ არ იყოს გვიანი.

მე თბილისი ლურჯი ფუნჯით მოვხატე, მთანმინდა კი გახვეულა მწვანეში, უსამშობლოდ ვერსად ვერ გავიხარე, აქ მინდოდა, ჩვენთან, ჩვენს სავანეში.

ნარიყალას თვალს შევაველებ შორიდან, მეტეხიდან გორგასალი მაცილებს, მე თბილისმა, თბილისურად მომხიბლა, დავდივარ და თვალს ველარ ვაცილებ.

მოვედი

იასამნის სურნელებს, გამოვეყვები შენამდე, უცხო ქვეყნად გადახვენილს, შენთან მოსვლა შემარგე. სად არ ვიყავ, რა არ ვნახე, რა გზა გამოვიარე, ახლა შენს წინაშე ვდგავარ, გვერდი ვერ ავიარე.

მოვდიოდი თან მომქონდა, სიყვარულის დავთარი, აღარ მინდა გავიხსენო, ის ყინვა და ზამთარი. ჩემი ყველა გაზაფხული, აპრილობით იწყება, სადაც ვნახავ იასამანს, ვიგრძნობ თავდავინყებას.

მოვედი და შენთან ვრჩები, აღარ მინდა სიცივე, მე არასდროს შევიცვლები, სულ ვიქნები იგივე. მიყვარს, ლურჯი აპრილი და ამ ჩემს გულში სამალი, მოვედი და კვლავ ვიხილე, ჩემი იასამანი.

არდავიწყება მოყვრისა

ქვაკაცა



არის დღეები, რომელიც სულს ნაჭდევით დააჩნდება ხოლმე... დღე, რომელიც საკუთარ ფესვებთან გაბრუნებს... ზედათმოგვის ეკლესიის ქვებშია ჩაკირული ეს ისტორია ჩვენამდე მოტანილი ღირსეული მესხის ხელით...

ნაქალაქევის საჯარო სკოლაში გაიმართა მესხი გმირის სიმონ ბერიძის ნამებიდან 105 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება... ამ დღეს იგრძნობდა ალბათ „ქვაკაცას“ ძვლებიც... 1919 წელია. თარაქამები დაბოგინობენ მესხეთის მიწა-

ზე, სოფელი გახიზნულია... ქვადეცეულმა, სულიერად ძლიერმა ადამიანმა არ გაცა სოფლის ადგილსამყოფელი, რის გამოც იგი სასტიკად ანამეს.. ქოსა თარაქამამ მას, ამ გაუტეხელ გმირს „ქვაკაცა“ უწოდა. ღონისძიება გაიმართა ნაქალაქევის

საჯარო სკოლის, ბერიძეთა საგვარეულოსა და მწერალ ზელიმხან მაღრაძის ხელმძღვანელობით.. ღონისძიების ორგანიზატორი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ჩანახატები **ზ. მაღრაძის** ნაწარმოების „ქვაკაცას“ შესახებ წაიკითხეს ქართული ენის პედაგოგმა – **ცისანა ლონდარიძემ**, მოსწავლეებმა: **ხატია ზაზაძემ**, **მარიამ კაველიძემ** და **თამარ მაღანიამ**.

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერითა და თანადგომით. ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: **ჯემალ**

დავლიანიძე (ვიცე-პრეზიდენტი), **ზურაბ ქობალია** (აღმასრულებელი მდივანი), **პაატა შუბითიძე** (პეზიდენტის მრჩეველი) და აკადემიის წევრები: **ნინო ფრუიძე**, **მაია ხოფერია**, **ელდინო საღარაძე**, **ლალი ასაბაშვილი**, **ერეკლე სალიანი**, **ელენე გამგონიძე**, **გიორგი თედეთი** და სხვები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ტრისტან მურადაშვილი** და სოფლის მცხოვრებლები.

ღონისძიება საინტერესო და ნაყოფიერი იყო...



დაბადების დღეს ვულოცავთ მაია სოფერიას.

დაბადების დღე 1 მაისი, პროფესიით იურისტი, კოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი 2016 წლიდან, გამგებობის წევრი, მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი, საქართველოს ძალთა საბჭოს წევრი, მწერალთა, ხელოვნათა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის „ბუღანის“ ნამდვილო წევრი... ილია მართლის პრემიის ორბზის ღაშრიატი... მიღებული აქვს მარიკა ბარათაშვილის პრემია, თამარიონის ენდლამა, 2024 წელს მიენიჭა გობლა ლეონიძის პრემია „ოქროს ნატვრის ხე“, ოთხი პოეტური კრებულის ავტორი, აბრემთა წერს საბავშვო ლექსებს, რომლებიც იბეჭდება ჟურნალ „დილა“ ცხოვრობს თბილისში... მუშაობს მხსუმე კრებულში...



მაია სოფერია

ჩემიდან შენამდე...

ჩემიდან შენამდე ვინ დათვლის ნაბიჯებს, ვინ მეტყვის – დანყვიტე მძივებად რითმები, ცხოვრება ისედაც სულ გულზედ მაბიჯებს, ტალახის ნაშხეფებს სხვის ნაცვლად ვითმენდი...

დავდივარ, გზას ვეძებ, ვეცემი, ვედები, სულ ცოტა ნათელი, ბურუსი მეტია ასე რად კვდებიან ქათქათა გედები, სად არის მარიტა, სად არის გედია ?!...


არ მინდა ქორები, არც მიეთ-მოეთი, სიკვდილი სიყვარულს ვერასდროს ვერ ნაშლის, ცის თალზე ვარსკვლავად თუ გაჩნდა პოეტი ქმნილებად გაქცევს და ფურცლებად გადაგშლის....

მიზანი ერთია, მიზეზი მრავალი ვილაცა იცინის, ვილაცა სლუკუნებს, მე ჩემი გზები მაქვს ზეცისკენ სავალი არ მტოვებს უფალი, მინათებს უკუნეთს...

ჩემიდან შენამდე ვინ დათვლის ნაბიჯებს ნამილო წვიმებმა, დამდევენ ქარები, ცხოვრება ისედაც სულ გულზედ მაბიჯებს, შევეყურებ ცის ტატნობს იმედის თვალებით !!!

დაკარბული ღიმილის ქებნაში

ამ სათაურით ოთხმოციან წლებში, წელი ზუსტად არ მახსოვს, „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა მარინე ვაჟაყვასის წერილი, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდა ნარკომანებს. ისინი სახელებითა და გვარებით იყვნენ გამოქვეყნებულნი. ამ წერილმა სულით-ხორცამდე შეძრა სრულიად საქართველო. ეს ლექსიც მაშინ დაიწერა, ვერ გეტყვით, მაშინ რატომ ვერ მოვახერხე ამ ლექსის გამოქვეყნება, მაგრამ ახლახან აღმოვაჩინე ჩემს არქივში და გადავწყვიტე გამოქვეყნებინა. ვგონებ, დღესაც აქტუალური თემაა.



ზურაბ აბულაშვილი

შეჩერდით!

არ ვიცი, თქვენ თავს რა ხდება, ასე რამ გაგაბოროტათ, თავს რად ილუპავთ შხამითა, ერს რად ექცევით ბოროტად.

თქვენ ახლა უნდა იწყებდეთ ცხოვრებას ხალას გულებით, თქვენ კი, თავს ადრე ილუპავთ გვარ-ტომის განადგურებით.

წინაპრებს ხელში ეჭირათ, ხმლები, ერს მკერდით იცავდნენ, სამშობლოს მოლაღატეებს საქვეყნოდ გამოზდნენ, კიცხავდნენ.

კაცსა, კაცისა მოძულეს, თავის გვარიდან რიცხავდნენ, ზრდილსა და კარგის მოსურნეს, ყოველთვის ძმობას ფიცავდნენ.

თქვენ კი, რა მოგდით, არ ვიცი, თავს რად უკეთებთ ავობას, რა პასუხს გასცემთ ნეტავი იმ თქვენ მომავალ თაობას.

შეჩერდით! – სანამ დრო არი, გთხოვდით კაცური გაგებით, ხალხის, სამშობლოს, მშობლების და ახლობლების სახელით. აქეთკენ პირი იბრუნეთ, უსმინეთ ირმის ყვირილსა, გჯეროდეთ, კვლავ დაიბრუნებთ იმ თქვენ „დაკარგულ ღიმილსა“.

ბრძენს ერთი დაუდგენია, ჩვენი ცხოვრების საზომად, ერს უნდა ჰყავდეს ურყევი, ჯანმრთელი ახალგაზრდობა.

პატარა ანგელოზს

ედღვნება მართა გოგილაშვილს

ჩვენი პატარა მართა, წელში რომ გაიმართა, მშობლები შეიცნო და ძალიან გაეხარდა.

მხოლოდ ათი თვის არის, უკვე მღერის და ცეკვავს, დიდი იმედი ხვალის, მზის სხივებივით ელავს.

არის ნანატრი ბავშვი და სიხარული ერთობ, თავის ჯიშში და გვარში, დაგვიმწყალობე, ღმერთო!

ელოდნენ სწორედ ასეთს, მოჭიკჭიკეს და ფრთამალს, დამსგავსებოდეს ნიჭით წმინდა ნინოს და თამარს.

გაზაფხულივით ჰყვავის, მშობლების ალი-კვალი, ბებიების და პაპის, კობცა, პატარა ქალი.

ინგა ამირჯანოვას სახსროვარი

დაბვიტოვა სიყვარული და დიდი პადაბობის სახელი



იზოლდა ჭიკაშვილი



გიორგი ნინიკური

ფიქრის ძაფენი

ეუძღვნი ჩემი შვილის, გიორგი ნინიკურის ხსოვნას

ლამით ჩუმად ვეფერები სურათს და გავაბამ ფიქრის ძაფებს შენთან, რამდენი რამ დაგრჩა შეუქმნელი, რამდენი რამ ალბათ უნდა გეთქვა.

ვენაცვალე შენი სულის ნათელს, უხმოდ, თრთოლვით რომ მიკაფავს არეს, ფეხაკრეფით, თავდახრილი დავალ და მიხურავს სიხარული კარებს.

მერე ვდგავარ გაცვებით კართან, რა მინდოდა, აქ რამ მომიყვანა, ვარსკვლავები მასხენებენ ღამეს, ფიქრებმა რომ ძილი მოიპარა.



ძალიან მძიმედ დაიწყო გაზაფხული ჩვენი სასკოლო საზოგადოებისათვის. მარტის თვეში, როცა ყველაფერი იღვიძებოდა, იფურქნებოდა და სისოცხლის სურვილს იძენს, გარდაიცვალა ჩვენი ენერგიული, გულიანი, ნიჭიერი და მუდამ პოზიტივის მატარებელი, მრავალი კოლეგისა და მოსწავლის მოტივატორი, ჩვენი ინგა ამირჯანოვა.


ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი და კოლეგა მრავალი კეთილი საქმის ინიციატორი და განმახორციელებელი იყო მოსწავლეებთან და კოლეგებთან ერთად.

ზრუნვა უფროს მეგობრებზე მისი ჩვევა იყო, მიუხედავად

დატვირთული ყოველდღიურობისა, მუდამ ახერხებდა თავისი სითბო და სიყვარული გაეზიარებინა ყველასათვის.

ყოველი მისი დღე იწყებოდა პოზიტივითა და შემართებით და ეს ემოცია მარტივად ეღებოდა სხვებსაც.

წარმოუდგენლად მიგვაჩნია დღესაც მისი ჩვენ გვერდით არყოფნა, ალბათ დიდხანს ვერ გაითავისებს სკოლა მის გარდაცვალებას, მაგრამ ხშირად ფაქტი ამ სასტიკ რეალობას უცხად პირისპირ შეგვანარცხებს ხოლმე და ვრწმუნდებით, რომ ის წავიდა, წავიდა სხვა სამყაროში, სადაც მისი დადებითი ენერჯია და სიკეთე გზას გაუნათებს და განისვენებს იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ.



ბენ.

თბილისის 132-ე სკოლის პედაგოგი

P.S. ბაზემი „სახალხო განათლება“-ის რედაქციის ინიციატივით მუშაობას ჩინებულ მასწავლებლის გარდაცვალების გამო.



ხსოვნა

ბურამ მაღაშხია – 80



ოჩამჩირის კავშირმა „ერთობამ“ დაკარგა კავშირის წევრი – ქალაქ ოჩამჩირის პატრიოტი ძმა და მეგობარი გურამ მაღაშხია.

გურამი 20 წელი ემსახურებოდა ჩვენს მუზეუმს, უვლიდა და ალამაზებდა მას.

ჩვენთვის 2024 წლის 5 აპრილი იყო მძიმე დღე, როდესაც ბატონმა გურამმა დატოვა საამიქვეყნო ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და შეუერთდა საიმქვეყნოდ წინაპართა ზეციურ სასულებს.

ჩვენი მუზეუმის – „ერთობის“ ერთ-ერთ კუთხეს გურამ მაღაშხიას სახელობის სტენდი ამშვენებს: ფოტოები, დიპლომები, მედლები, რომლებიც დაიმსახურა გურამ მაღაშხიამ ხსოვნა მის ნათელ სახელს!


„ერთობის“ წევრები: თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ომარ ყვანია, იურა დოჩია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, დავით ძალამიძე, ლევან ლაგვილაძე, ოთარ წურწუშია, ემზარ თუნგია, ვახტანგ გოგუა, სოსო კაკულია, გია მიქაია, თამაზ კალანდია, თემურ ჩიქობავა, თენგიზ ნორაკიძე (უმც.), ანზორ გერგედავა, გივი ჩხეტია, რევაზ ჩხეტია, გია შანავა, ზამირ მიქაია, დილარ კემულარია.

თენგიზ ნორაკიძე,

სპორტის ოსტატი ფეხბურთში.



ალეკო ვარდოსანიძე – 72 პოლკოვნიკი



ვახტანგ გოგია – 71 იურისტი



თამაზ ჩიქობავა – 71 ეკონომისტი



მანტული თოდუა – 87 ქირურგი



ომარ ყვანია – 82 არქიტექტორი, პროფესორი



რაულ ჯანაშია – 84 ინჟინერ-მშენებელი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

555 596 050

ალმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587

ს/ს თიბისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედაქტორები

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N3 (4619) 30 აპრილი / 2024 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113

